04 სექტემბერი 2023 წელი

„თიბისი ბანკ გრუფ ფი-ელ-სი"-ის,
როგორც სს „თიბისი დაზღვევის" დედა კომპანიისა და 100%-იანი წილის მფლობელის, 2023 წლის 25 სექტემბერს ჩასატარებელი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა და სს „თიბისი დაზღვევის" (ს/კ 405042804) წესდების მე-6 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და მე-4 მუხლის შესაბამისად, გენერალური დირექტორი, პაატა ღაძაძე (პ/ნ 01023000307) იწვევს მორიგ საერთო კრებას და აცხადებს:

1. წესდების შესაბამისად მოწვეულ იქნას სს „თიბისი დაზღვევის" (ს/კ: 405042804; იურიდიული მის.: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ.ყაზბეგის გამზ., N24ბ, III სართული) რიგგარეშე საერთო კრება.
2. კრებაზე მოწვეულ იქნას „თიბისი ბანკ გრუფ ფი-ელ-სი", ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, სარეგისტრაციო ნომრით 10029943, როგორც სს „თიბისი დაზღვევის" 100% წილის მფლობელი.
3. საერთო კრება ჩატარდეს:
   - მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N7
   - თარიღი: 2023 წლის 25 სექტემბერს
4. განსახილველი საკითხი:
   - სს თიბისი დაზღვევის სადამფუძნებლო შეთანხმებისა და განახლებული წესდების დამტკიცება.

დანართი:

სს თიბისი დაზღვევის სადამფუძნებლო შეთანხმება და წესდება ქართულ ენაზე

პაატა ღაძაძე

სს „თიბისი დაზღვევის" გენერალური დირექტორი

სადამფუძნებლო შეთანხმება

(სააქციო საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

- **სამართლებრივი ფორმა**: სააქციო საზოგადოება

- **საფირმო სახელწოდება:** სს თიბისი დაზღვევა

- **საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე:** JSC TBC INSURANCE

- **იურიდიული / ფაქტობრივი მისამართი:** ალ. ყაზბეგის გამზირი 24ბ, მესამე სართული, თბილისი, საქართველო

- **დამფუძნებლები/აქციონერები:** სს თიბისი დაზღვევა უკვე დაფუძნებულია

- **ხელმძღვანელი ორგანო:** გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორ(ებ)ი

- **ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები:**

*1. **გენერალური დირექტორი** - პაატა ღამძე, პ/ნ: 01023000307, მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N 78 ს.3. ბ.10უფლებამოსილების ვადა 3 წელი, ახლიდან არჩევის უფლებით;*
*2. **გენერალური დირექტორის მოადგილე** - დავით კიღურაძე, პ/ნ: 01006008832, მისამართი: საქართველო, თბილისი, თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N24ბ, ბ 56. უფლებამოსილების ვადა 3 წელი, ახლიდან არჩევის უფლებით;*
*3. **დირექტორი** - ნიკოლოზ კობზევი, პ/ნ: 01011016195 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/*
მისამართი: საქართველო, თბილისი, ნოე ხომერიკის ქ. N23. უფლებამოსილების ვადა 3 წელი, ახლიდან არჩევის უფლებით;

- **ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**

გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე საზოგადოებას წარმოადგენენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე) და მათი ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ არის შეზღუდული.
დირექტორს აქვს მხოლოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება.

- **სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი**

პაატა ღამძე

- **სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი**

paata.gadzadze@tbcinsurance.ge

ტელ: +995 599 51 91 44

❖ სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეოს საბჭო შედგება 4 წევრისგან

❖ **სამეთვალყურეო საბჭოს წევრები**

1. **საბჭოს თავმჯდომარე/წევრი:** ვახტანგ ბუცხრიკიძე პ.ნ.01010002658, მისამართი: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 78, ბლოკი 3, ბინა 7. / უფლებამოსილების ვადა 3 წელი, ახლიდან არჩევის უფლებით;
2. **წევრი:** გიორგი თხელიძე, პ/ნ: 01005001579/ /ორმაგი მოქალაქე საქართველო, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო. მისამართი: საქართველო, თბილისი, მარო მაყაშვილის ქუჩა, მესამე შესახვევი, ბინა 11. / უფლებამოსილების ვადა 3 წელი, ახლიდან არჩევის უფლებით;
3. **წევრი:** ზეზვა ცისკარიშვილი, პ/ნ: 01017003263/ თბილისი იაკობ ნიკოლაძის ქ. N 5ა ბ. 111/ უფლებამოსილების ვადა 3 წელი, ახლიდან არჩევის უფლებით;
4. **წევრი:** თორნიკე გოგიჩაიშვილი, პ/ნ: 01010005109/ Rindavägen 4, 182 54, Djursholm, Sweden / უფლებამოსილების ვადა 3 წელი, ახლიდან არჩევის უფლებით;

❖ **სხვა მმართველი ორგანო:** <u>განსაზღვრული არ არის.</u>

❖ **არსებობის შემთხვევაში გენერალური სავაჭრო წარმომადგენელი/პროკურისტი:** <u>განსაზღვრული არ არის.</u>

❖ **კაპიტალი**

ნებადართული კაპიტალი შეადგენს <u>15,000,000</u> ლარს
განთავსებული კაპიტალი შეადგენს <u>7,481,870</u> ლარს
განაღდებული კაპიტალი შეადგენს <u>7,481,870</u> ლარს

❖ **არსებობის შემთხვევაში აქციათა კლასი:** <u>ჩვეულებრივი კლასის აქციები</u>

❖ **არსებობის შემთხვევაში დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციების რაოდენობა და მათი ნომინალური ღირებულება**

ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი კლასის განთავსებული აქციების რაოდენობა არის <u>7,481,870</u> ერთეული, ხოლო ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

❖ ***არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულება, ხოლო, ნომინალური ღირებულების გარეშე გამოშვებული აქციების შემთხვევაში, მათი რაოდენობა, შენატანის სახე და შენატანზე ვალდებული პირის სახელი/სახელწოდება:** <u>ასეთი არ არსებობს.</u>

❖ ***დაფუძნებასთან, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ იმ არსებული ან სავარაუდო ხარჯები, რომლებიც უნდა გაიღოს სააქციო საზოგადოებამ:** <u>საზოგადოება უკვე დაფუძნებულია და შესაბამისი ლიცენზიები მიღებული აქვს.</u>

❖ ***დაფუძნების, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაში პროცესში მონაწილე პირთა მიერ სააქციო საზოგადოებისგან მიღებული ან**

მისაღები ეკონომიკური სარგებელი: <u>რადგან საზოგადოება დაფუძნებულია და ლიცენზიები მოპოვებულია, ასეთი არ არსებობს</u>

- **დანართი:**

დამფუძნებლების/პარტნიორების მიერ შემუშავებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს

.....

პარტნიორი/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

თარიღი: ----------

სააქციო საზოგადოება

„თიბისი დაზღვევის“ წესდება

თბილისი

2023

სარჩევი

თავი I. შესავალი დებულებები 3

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. საქმიანობის საგანი 3

თავი II. საზოგადოების კაპიტალი 4

მუხლი 3. საზოგადოების კაპიტალი, აქცია, აქციის კლასი 4

თავი III. კორპორაციული მართვა 4

მუხლი 4. საზოგადოების მმართველობით ორგანოთა სისტემა 4

თავი IV. მმართველობითი ორგანოები 5

მუხლი 5. აქციონერები და მათი უფლებები-მოვალეობები 5

მუხლი 6. აქციონერთა საერთო კრება 5

მუხლი 7. აქციონერთა საერთო კრების მიმდინარეობა 6

მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია 6

მუხლი 9. სამეთვალყურეო საბჭო 8

მუხლი 10. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 8

მუხლი 11. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია 9

მუხლი 12. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები 10

მუხლი 13. გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილედა დირექტორ(ებ)ი 11

მუხლი 14. საზოგადოების მმართველობით ორგანოთა პასუხისმგებლობა 13

მუხლი 15. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები 13

მუხლი 16. კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებათა გამოყენება 14

თავი V. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია 14

მუხლი 17. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია 14

თავი VI. დასკვნითი დებულებები 14

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები 14

თავი I. შესავალი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სააქციო საზოგადოება „თიბისი დაზღვევა“ (შემდგომში - ,,საზოგადოება“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ სამეწარმეო საზოგადოებას, იურიდიულ პირს, რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციებად;

1.2 საზოგადოება დაფუძნდა 2014 წლის 08 მაისს;

1.3 საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი, მისი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე წესდებით, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით.

1.4 საზოგადოების მართვა ხორციელდება წინამდებარე წესდების და სხვა შიდაორგანიზაციული წესების შესაბამისად. საჭიროებისამებრ, საზოგადოება, თავის საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავს მშობელი კომპანიის „თიბისი ბანკ გრუპ პი-ელ-სი“-ს კორპორაციული აქტების (პოლიტიკა, პროცედურა, ინსტრუქცია, სახელმძღვანელო და სხვა) შესაბამისად.

1.5 საზოგადოება უფლებამოსილია ჰქონდეს დამოუკიდებელი ბალანსი, დამოუკიდებლად შეიძინოს და განახორციელოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, დადოს გარიგებები, გახსნას ფილიალები და წარმომადგენლობები საქართველოს ან/და უცხოეთის ქვეყნების ტერიტორიაზე, ჰქონდეს როგორც საანგარიშსწორებო, აგრეთვე სხვა სახის ანგარიშები საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

1.6 საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით. საზოგადოება პასუხს არ აგებს აქციონერთა ვალდებულებებისთვის.

1.7 ეს წესდება წარმოადგენს აქციონერთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანმხვედრ ნებას და იგი სავალდებულო ძალის მქონეა აქციონერებისთვის. ამ წესდებით განსაზღვრული ნორმები სავალდებულოა არა მხოლოდ სააქციო საზოგადოების იმ დამფუძნებელთათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს წესდებაზე, არამედ იმისთვისაც, ვინც მომავალში გახდება ამ საზოგადოების აქციონერი, მიუხედავად იმისა, რომ მას წესდებაზე ხელი არ მოუწერია.

მუხლი 2. საქმიანობის საგანი

2.1 საზოგადოების საქმიანობის მიზანია განახორციელოს, მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება.

2.2 საზოგადოება ახორციელებს ნებისმიერი სახის დაზღვევის/გადაზღვევის საქმიანობას და საპენსიო დანაგროვთა მართვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლიცენზიების საფუძველზე.

2.3 საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს, იწყება პირველ იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

თავი II. საზოგადოების კაპიტალი

მუხლი 3. საზოგადოების კაპიტალი, აქცია, აქციის კლასი

3.1 საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია ჩვეულებრივი კლასის აქციებად. ნებადართული, გამოშვებული, განთავსებული და განაღდებული კაპიტალის ოდენობა, აგრეთვე, ჩვეულებრივი კლასის აქციის ნომინალური ღირებულება განსაზღვრულია სადამფუძნებლო შეთანხმებით;

3.2 ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას საერთო კრებაზე. ჩვეულებრივი კლასის აქცია იძლევა ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებას და აქციონერს ანიჭებს უფლებას კანონმდებლობითა და ამავე წესდებით დადგენილი წესით მიიღოს დივიდენდი;

3.3 საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილება, მათ შორის, საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების განთავსება, გაუქმება და სხვა ცვლილებები, ხორციელდება კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

3.4 საზოგადოების აქციათა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

თავი III. კორპორაციული მართვა

მუხლი 4. საზოგადოების მმართველობით ორგანოთა სისტემა

4.1 საზოგადოების მმართველობის ორგანოებია: **აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, ხელმძღვანელი ორგანო - გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორ(ებ)ი.**

4.2 **აქციონერთა საერთო კრება** წარმოადგენს საზოგადოების მმართველობის უმაღლეს ორგანოს. აქციონერთა საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

4.3 **სამეთვალყურეო საბჭო** ახორციელებს ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობასა და კონტროლს, განსაზღვრულ ფარგლებში თანამშრომლობს მასთან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში და იღებს გადაწყვეტილებებს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდებისა და შიდა კორპორაციული აქტების საფუძველზე;

4.4 **გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე** და **დირექტორ(ებ)ი** უზრუნველყოფენ საზოგადოების ხელმძღვანელობას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). **მესამე პირებთან წარმომადგენლობაზე** უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ საზოგადოების **გენერალური დირექტორი** და **გენერალური დირექტორის მოადგილე,** ერთმანეთისაგან **დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე) და მათი**

ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ არის შეზღუდული. დირექტორ(ებ)ს არ აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

4.5 საზოგადოების სახელით გარიგებების დადებისა და მესამე პირებთან საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება (როგორც ერთობლივი, ისე ერთპიროვნული) ნებისმიერ სხვა პირ(ებ)ს, მათ შორის, საზოგადოების თანამშრომლებს, შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ **გენერალური დირექტორის** ან **გენერალური დირექტორის მოადგილის** მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

4.6 საზოგადოების მმართველობის ორგანოები საქმიანობენ და გადაწყვეტილებებს იღებენ კანონმდებლობით ან/და წინამდებარე წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. აღნიშნული არ გამორიცხავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სხვა ორგანოზე დელეგირებას, თუ ასეთი დელეგირება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და არ არის შეზღუდული. ასეთი დელეგირება არ გამორიცხავს მმართველობითი ორგანოს პასუხისმგებლობას.

თავი IV. მმართველობითი ორგანოები

მუხლი 5. აქციონერები და მათი უფლებები-მოვალეობები

5.1 საზოგადოების აქციონერებს აქვთ და ეკისრებათ წინამდებარე წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

5.2 *აქციონერებს უფლება აქვთ:*

5.2.1 მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია წინამდებარე წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით;

5.2.2 დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში წინამდებარე წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად;

5.2.3 მიიღონ დივიდენდები მათ საკუთრებაში არსებული აქციების ოდენობის პროპორციულად წინამდებარე წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით;

5.2.4 განკარგონ აქციები წინამდებარე წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით;

5.2.5 ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით დადგენილი უფლებებით.

მუხლი 6. აქციონერთა საერთო კრება

6.1 საერთო კრება, მორიგი ან რიგგარეშე კრების სახით, მოიწვევა და მიმდინარეობს კანონითა და ამ წესდებით დადგენილ შემთხვევებში და წესით. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას ჰყავს ერთადერთი აქციონერი, საზოგადოებას არ ეზღუდება უფლება ერთადერთმა აქციონერმა განახორციელოს საერთო კრების უფლებამოსილება კრების მოწვევის გარეშე. ამ შემთხვევაში,

ერთადერთი აქციონერის მიერ საერთო კრების ფარგლებში მიღებული ყველა გადაწყვეტილება გაფორმდება წერილობით;

6.2 საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ყველა აქციონერს, როგორც უშუალოდ, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით;

6.3 საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. თუ საზოგადოების გენერალური დირექტორი არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ იწვევს საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება;

6.4 საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის, საერთო კრების მონაწილეთა სიის სისწორისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების გენერალურ დირექტორს;

6.5 საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს, სულ მცირე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მონაცემებს, ხოლო საერთო კრების დღის წესრიგის მასალები უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას;

მუხლი 7. აქციონერთა საერთო კრების მიმდინარეობა

7.1 აქციონერთა საერთო კრება იმართება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების მუშაობაში;

7.2 აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, საერთო კრების არჩევით სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი ან საზოგადოების გენერალური დირექტორი;

7.3 აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე აქციონერები, გარდა ისეთი საკითხის განხილვისა, რაც წინამდებარე წესდებით ან კანონმდებლობით საჭიროებს უფრო მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერთა დასწრებას. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად;

7.4 აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილე აქციონერთა ხმების უმრავლესობით, ხოლო ისეთ საკითხებზე, რომლის გადაწყვეტისთვის კანონმდებლობით დადგენილია აქციონერის ხმათა უფრო დიდი რაოდენობა, საკითხი გადაწყდება კანონით განსაზღვრული ქვორუმის შესაბამისად.

მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია

8.1 საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს კანონითა და ამ წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე; საერთო კრების კომპეტენციას წარმოადგენს

ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულია როგორც საერთო კრების კომპეტენცია. დამსწრე და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა განისაზღვრება კანონმდებლობით, თუ შესაბამისი საკითხი წინამდებარე წესდებით კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში განსხვავებულად არ არის მოწესრიგებული.

8.2 საერთო კრება განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს, მათ შორის შემდეგ საკითხებზე:

8.2.1 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა ან/და გათავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება;

8.2.2 გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;

8.2.3 მოგების (დივიდენდის) განაწილება ან ასეთ განაწილებაზე უარის თქმა, სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული წინადადების შესაბამისად;

8.2.4 წესდებაში ცვლილების შეტანა, წესდების ახალი რედაქციის მიღება;

8.2.5 საზოგადოების გარე აუდიტორის არჩევა, შეცვლა ან განთავისუფლება;

8.2.6 განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ, აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრის შესახებ;

8.2.7 საზოგადოების სააქციო კაპიტალის ან მისი აქციების ან ფასიანი ქაღალდების შემცირების შესახებ, რომლებიც იძლევა საზოგადოების სააქციო კაპიტალის შეძენის უფლებას (ოფციის, გარანტიისა და სხვა უფლებების ჩათვლით) კონვერტაციით, გაცვლით ან სხვაგვარად;

8.2.8 საზოგადოების რეორგანიზაცია;

8.2.9 საზოგადოების ლიკვიდაცია; გადახდისუუნარობა; გაკოტრება; კრედიტორის სასარგებლოდ ქონების გადაცემა.

8.2.10 ამტკიცებს საზოგადოების მიერ იმ ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის გადაწყვეტილებას, რომლის ღირებულება საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 (ორმოცდაათი) პროცენტს აღემატება, გარდა ისეთი გარიგებისა, რომელიც ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას ეხება;

8.2.11 იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელთან მიმართებით აუცილებელია საერთო კრების თანხმობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ არის დელეგირებული სხვა მმართველობით ორგანოზე;

8.3 საერთო კრებას არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც სხვა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ორგანოები საერთო კრებას მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის თხოვნით მიმართავენ.

მუხლი 9. სამეთვალყურეო საბჭო

9.1 სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 3 (სამი) და არაუმეტეს 21 (ოცდაერთი) წევრისაგან.

9.2 სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

9.3 სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით აირჩევა არაუმეტეს 3 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ახალი ვადით რამდენჯერმე.

9.4 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შერჩევის დროს, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის მოთხოვნები, მათ შორის და არა მარტო მოთხოვნები სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა შესახებ, რომელიც დადგენილია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვაშესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

9.5 სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და მისი თითოეული წევრი, ნებისმიერ დროს უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების ადმინისტრატორებისთვის დადგენილ ყველა კრიტერიუმს.

9.6 სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრები საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნენ წევრობიდან;

9.7 სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს საზოგადოებას.

9.8 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და სასამსახურო ხელშეკრულებით.

9.9 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი საზოგადოების საერთო ინტერესებზე.

მუხლი 10. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

10.1 სამეთვალყურეო საბჭო, საბჭოს წევრებიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის შერჩევისას, დაცულ უნდა იქნას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

10.2 სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს, წარმოადგენს საბჭოს საზოგადოების სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან და თანამშრომლებთან, პასუხისმგებელია საბჭოს მთლიან ეფექტურ ფუნქციონირებაზე, მათ შორის საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, გენერალურ დირექტორს/გენერალური დირექტორის მოადგილეს/დირექტორ(ებ)ს და სამეთვალყურეო საბჭოს შორის ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტურ თანამშრომლობაზე.

10.3 სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს არჩევით.

მუხლი 11. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

11.1 სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია:

11.1.1 გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილესა და დირექტორ(ებ)ს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, გაეცნოს მათ მიერ წარდგენილ ანგარიშებსა და ინფორმაციას;

11.1.2 გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს საზოაგადოების საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო, ქონებრივი ობიექტები და სალარო; ამ მოქმედებების განხორციელება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ან მათ განსახორციელებლად მოიწვიოს ექსპერტები;

11.1.3 შეამოწმოს გენერალური დირექტორის წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;

11.1.4 წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ ორგანოსთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;

11.1.5 კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები;

11.1.6 ისარგებლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებებით.

11.2 სამეთვალყურეო საბჭო:

11.2.1 ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილესა და დირექტორ(ებ)ს, განსაზღვრავს მათი ანაზღაურების საკითხს;

11.2.2 ქმნის სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ კომიტეტებს;

11.2.3 ამტკიცებს პროკურის (მინდობილობის) გაცემას;

11.2.4 გასცემს რეკომენდაციას საზოგადოების გარე აუდიტორის არჩევასთან, შეცვლასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;

11.2.5 ამტკიცებს საფონდო ბირჟაზე საზოგადოების აქციების განთავსებას;

11.2.6 განიხილავს და ამტკიცებს ფინანსურ მაჩვენებლებს მომავალი წლისათვის, ბიზნეს გეგმის ან წლიური ბიუჯეტის ჩათვლით;

11.2.7 ამტკიცებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დებულებებს;

11.2.8 ამტკიცებს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების აღებას 7 (შვიდი) და მეტი წლის ვადით;

11.2.9 ამტკიცებს იმ ვალდებულებათა აღებასა და უზრუნველყოფას, რომლებიც აღემატება წინამდებარე წესდებით გენერალური დირექტორისა და გენერალური დირექტორის მოადგილისათვის დადგენილი ლიმიტის ოდენობას;

11.2.10 ამტკიცებს სხვა იურიდიული პირების შექმნას/დაფუძნებას, ლიკვიდაციას/გადახდისუუნარობას/გაკოტრებას/კრედიტორის სასარგებლოდ ქონების გადაცემას, მათში ინვესტირებას ან სხვა საწარმოში/იურიდიულ პირში აქციების/წილების/წილობრივ მონაწილეობას, უფლებრივ დატვირთვას ან განკარგვას;

11.2.11 იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან წინამდებარე წესდების შესაბამისად მიეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

11.3 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, სხვა ფუნქციებთან ერთად, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:

11.3.1 განსაზღვრონ საზოგადოების ღირებულებები, ხედვა, მისია ორგანიზაციული სტრუქტურა და უზრუნველყონ, რომ საზოგადოება იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;

11.3.2 შეაფასონ ხელმძღვანელი ორგანოს როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში;

11.3.3 განსაზღვრონ საზოგადოების სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ ხელმძღვანელი ორგანოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;

11.3.4 უზრუნველყონ საზოგადოების საქმიანობის კანონმდებლობის, მათ შორის, საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობა;

11.3.5 მონიტორინგი გაუწიონ ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, შეაფასონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასების შედეგად მიიღონ შესაბამისი ზომები;

11.3.6 უზრუნველყონ კანონმდებლობით, საზოგადოების შიდა კორპორაციული აქტებითა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების განუხრელად დაცვა და ფუნქციების შესრულება.

11.4 სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება. აღნიშნული არ ეხება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების, საბჭოს დონეზე შექმნილ კომიტეტებზე დელეგირებას, ასევე დელეგირებას, რომელიც დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 12. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

12.1 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სხდომების ჩატარება. საბჭოს წევრები სხდომას უნდა დაესწრონ პირადად;

12.2 სხდომას იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ან გენერალურ დირექტორს აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისაგან მოითხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან გენერალურ დირექტორს შეუძლიათ, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა;

12.3 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სხდომის მიმდინარეობა და საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმში ჩანაწერით/წერილობით რეზოლუციაზე ხელმოწერით. ოქმს/წერილობით რეზოლუციას ადგენს და ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, და კორპორაციული მდივანი. კრების ოქმის

ნამდვილობასა და მასში მითითებული ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე/კორპორაციული მდივანი.

12.4 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, სულ მცირე, ნახევარი;

12.5 თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სხდომის თავმჯომარე ვალდებულია არაუგვიანეს 10 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება კენჭისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

12.6 თუ კანონით, ან წინამდებარე წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით და ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა;

12.7 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოიწვევა 4 (ოთხი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით. გამონაკლისს შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები შეიძლება მოწვეული იქნას უფრო მოკლე ვადებში, მაგრამ არანაკლებ 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე შეტყობინებით.

12.8 სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია წერილობითი ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით). ასეთ შემთხვევაში წერილობითი რეზოლუციის პროექტი (მატერიალური სახით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს, ერთდროულად ეგზავნება კორპორაციული მდივნის მიერ. კორპორაციული მდივნის შეტყობინებაში უნდა მიეთითოს წერილობით რეზოლუციაზე თანხმობის/უარყოფითი პოზიციის გაცემის წესი და ვადა. გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა წერილობითი რეზოლუციაზე სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის მიერ, შეტყობინებაში განსაზღვრული წესით, თანხმობის/უარყოფითი პოზიციის დაფიქსირების შემდგომ. თუ სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრი ამგვარი პროცედურის წინააღმდეგია, საკითხის განსახილველად ჩატარდება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა;

მუხლი 13. გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილედა დირექტორ(ებ)ი

13.1 საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილესა და დირექტორ(ებ)ს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

13.2 საზოგადოებას უნდა ჰყავდეს არანაკლებ 3 (სამი) დირექტორი, რომელიც მოიცავს სულ მცირე გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილეს და დირექტორ(ებ)ს. მათ თანამდებობაზე არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. გენერალურ დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილეს და დირექტორ(ებ)ის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება მორიგი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარებამდე. ამასთანავე, გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილისა და დირექტორ(ებ)ის განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

13.3 გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილისა და დირექტორ(ებ)ის კომპეტენციები განისაზღვრება წინამდებარე წესდებით, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ან/და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

13.4 გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე უფლებამოსილნი არიან როგორც ერთობლივად ისე ცალ-ცალკე მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედონ საზოგადოების სახელით და წარმოადგინონ საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე უფლებამოსილი არიან მათი ეს უფლება სრულად ან ნაწილობრივ, გადაანდონ სხვა პირებს.

13.5 საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენს გენერალური დირექტორი ან/და გენერალური დირექტორის მოადგილე. გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე არ შეიძლება იყვნენ სასამართლოში წარმომადგენლები იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ სარჩელი შეტანილია ამ საზოგადოების მიერ.

13.6 გენერალურმა დირექტორმა, გენერალური დირექტორის მოადგილემ და დირექტორ(ებ)მა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ რომელიმე მათგანი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი.

13.7 გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორ(ებ)ი, გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით, ადგენენ წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს გენერალური დირექტორი. წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ მათ წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

13.8 გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე ერთპიროვნულად:

13.8.1 საზოგადოების სახელით დებს გარიგებებს, რომლის ერთეული გარიგების ღირებულება არ აღემატება საზოგადოების კაპიტალის 20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 2,000,000.00 (ორი მილიონი)ლარისა.

13.8.2 გადამზღვევლებთან შეუზღუდავად დებს შესაბამის ხელშეკრულებებს, რომელთა ერთეულის ღირებულება (სადაზღვევო პრემიის ნაწილში) არ აღემატება საზოგადოების კაპიტალის 20%-ს;

13.8.3 ახორციელებს მოკლევადიან ან/და გრძელვადიან ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებსა და საბანკო დეპოზიტებში, როგორც საქართველოში, ისე ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეგთო) წევრ ქვეყნებში, ასევე ახორციელებს სავალუტო და დერივატიულ ოპერაციებს, მაგრამ არაუმეტეს საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 20%-ისა თითოეულ კონტრაგენტთან;

13.8.4 იღებს გადაწყვეტილებებს ვალდებულებათა აღების და უზრუნველყოფის შესახებ, რომელთა ერთეული ოდენობა არ აღემატება საზოგადოების კაპიტალის 20%-ს, მათ შორის, ნებისმიერი ბანკიდან საკრედიტო პროდუქტის (საბანკო გარანტია) აღებისა და მათი უზრუნველყოფის შესახებ;

13.8.5 უზრუნველყოფს აქციონერის/აქციონერთა კრებისა ან/და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას.

13.8.6 იღებს გადაწყვეტილებას ფილიალების დაარსებისა და ლიკვიდაციის, ასევე დამატებითი მომსახურების ოფისების გახსნისა და დახურვის, ოფისების ადგილმდებარეობის შერჩევის შესახებ;

13.8.7 თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კომპანიის დასაქმებულებს და ხელს აწერს შესაბამის ხელშეკრულებებსა და დოკუმენტებს.

13.8.8 მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე თავისი შეხედულებისამებრ, ხელს აწერს შესაბამის ხელშეკრულებებს და სხვა დოკუმენტებს;

13.8.9 გამოსცემს კომპანიის ფუნქციონერებისათვის აუცილებელ ბრძანებებს.

13.9 სხვა დირექტორ(ებ)ი ხელმძღვანელობენ დარგობრივ მიმართულებებს სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალური დირექტორის მიერ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც მოიცავს ხელმძღვანლობით უფლებამოსილებას და არ მოიცავს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.

მუხლი 14. საზოგადოების მმართველობით ორგანოთა პასუხისმგებლობა

14.1 საზოგადოების მმართველობით ორგანოთა პასუხისმგებლობა, მათი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და საზოგადოების შიდა კორპორაციული აქტებით;

14.2 საზოგადოების აქციონერები, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორ(ებ)ი პასუხისმგებელნი არიან იმოქმედონ საზოგადოების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად და მათი გათვალისწინებით;

მუხლი 15. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

15.1 სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს აუდიტის კომიტეტი. დამატებითი კომიტეტების შექმნა შეზღუდული არ არის და განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. კომიტეტების შემადგენლობა და მათი კომპეტენციები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და უნდა შეესაბამებოდეს საკანონმდებლო მოთხოვნებს, საზოგადოების სტრუქტურას და მასშტაბს.

15.2 სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს კორპორაციული მდივანი, რომელიც ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

მუხლი 16. კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებათა გამოყენება

16.1 საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევა ან/და გამართვა დასაშვებია, როგორც უშუალოდ პირთა დასწრებით, აგრეთვე, ელექტრონული კომუნიკაციის (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის) საშუალებების გამოყენებით;

თავი V. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 17. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI. დასკვნითი დებულებები

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

18.1 წინამდებარე წესდება ძალაშია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან;

18.2 ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე; ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება დებულება რომლითაც ყველაზე უკეთ მიიღწევა წესდებით განსაზღვრული მიზანი;

18.3 საკითხები, რომლებიც წინამდებარე წესდებით არ რეგულირდება, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დებულებებს ენიჭება უპირატესობა.